ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 197

18 მაისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.13.07.021.097, ს/კ: №01.13.07.021.096.) შპს „აევ"-ისთვის (ს/ნ. 401996881) გადაცემული სარგებლობის უფლების (აღნაგობის) ქირის შეცვლისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „აევ"-ის (ს/ნ. 401996881) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 127[2] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, ასევე, „ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. №01.13.07.021.097, ს/კ. №01.13.07.021.096.) შპს „აევ"-ისთვის (ს/ნ. 401996881) გადაცემული სარგებლობის უფლების (აღნაგობის) ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.565.654 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შპს „აევ"-ისთვის (ს/ნ. 401996881) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემულ, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მიმდებარედ, 30 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.097) და 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.096), „ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. №01.13.07.021.097, ს/კ. №01.13.07.021.096) შპს „აევ"-ისთვის (ს/ნ. 401996881) გადაცემული სარგებლობის უფლების (აღნაგობის) ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.565.654 განკარგულების გამოცემის მდგომარეობით, ხელშეკრულების ფარგლებში, 2016 წლის 5 მაისიდან დარიცხული აღნაგობის ქირის საფასური შეიცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული აღნაგობის ქირის საფასურის

გადაუხდელობის გამო, წინამდებარე განკარგულების გამოცემის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „აევ“-ის (ს/ნ. 401996881) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე